ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-19/01171953366-17

"13" 10 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, თემქის დასახლება I კვარტალში (საკ. კოდი №01.12.02.018.002) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1416415 01.08.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, თემქის დასახლება ი კვარტალში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ნაწილობრივ გაუქმებულია დეკორატიული ლესვა და დეკორატიული ელემენტები. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ნახატი. დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები, სატელიტური ანტენები, კონდიციონერები. კედლის ფრაგმენტები შესაღები და მოსაპირკეთებელია. ბაზალტის ნაცვლად კედლები მოპირკეთებულია ხელოვნური ქვით. ღიობებში ნაწილობრივ ჩასასმელია კარ-ფანჯრები. -3.30 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობები ფანჯრებით და მინაბლოკებით.

შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოს კიბის საფეხურების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი და გაზრდილია მათი რაოდენობა. -3.30 ნიშნულზე შენობის გარე პერიმეტრზე ბლოკის ნაცვლად მოწყობილია მონოლითური კედლები.

„1-8" ფასადზე: +0.00 ნიშნულზე ვიტრაჟებში გაუქმებულია კარი, შეცვლილია მათი ნახატი და გაბარიტი. „7-8" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე, ბაქანი და კარი. „1-1" ღერძის გარეთ გაუქმებულია პანდუსი. „1-7" მონაკვეთში აივნები ნაწილობრივ შემინულია, რის გამოც გაზრდილია შიდა ფართი. +24.00 ნიშნულზე „6-7" მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია გისოსები. ამავე მონაკვეთში გაუქმებულია წყალშემკრები მილი.

„ზ'-ა" ფასადზე: გაუქმებულია კიბეები. +0.00 ნიშნულზე „ვ'-გ" მონაკვეთში ვიტრაჟებში გაუქმებულია კარი, შეცვლილია მათი ნახატი და გაბარიტი. „ა'-ა" ღერძის გარეთ გაუქმებულია პანდუსი. „ზ'-ა" მონაკვეთში აივნები ნაწილობრივ შემინულია, რის გამოც გაზრდილია შიდა ფართი. „ა'-ა" ღერძის გარეთ შემცირებულია აივნებს შორის მდებარე ფანჯრების სიმაღლე. +4.80 ნიშნულზე „ა-ა" ღერძის გარეთ ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. +36.80 ნიშნულზე „გ'-გ" ღერძთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

„4'-1" ფასადზე: შეცვლილია კიბეების, პანდუსების და მცირე ზომის კაპიტალური კედლების მდებარეობა, გაბარიტი და ფორმა. დასამთავრებელია პანდუსების მოწყობა და ის არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებით მოწყობილია ამწე-საშუალება. ამავე მონაკვეთში აივნები შემინულია, რის გამოც გაზრდილია შიდა ფართი. +0.00 ნიშნულზე „6-5" მონაკვეთში სამი კარისა და ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ერთი დიდი ზომის ვიტრაჟი. +4.80 ნიშნულზე „7-5" მონაკვეთში და ასევე „8-7" მონაკვეთში ამავე ნიშნულიდან ზემოთ აივნებზე ლითონის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირი. „5-5" ღერძის მარცხენა მხარეს გაზრდილია აივნების სიგრძე.

„ა-თ" ფასადზე: +4.80 ნიშნულზე „ზ-ზ" ღერძთან და „თ-თ" ღერძის გარეთ +8.20 ნიშნულიდან ზემოთ აივნებზე ლითონის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირი. გაზრდილია ამავე აივნების სიგანე.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

-3.30 ნიშნულზე „4'-4'" და „ე-ე" ღერძებთან დამატებით მოწყობილია მონოლიოთური კედლები, რის გამოც გაუქმებულია ამ ღერძებს შორის ფართი.

+0.00 ნიშნულზე „ბ-ა" და „7-8" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფართი.

+36.80 ნიშნულზე კიბეები არ არის მოწყობილი.

+40.00 ნიშნულზე შემცირებულია სართულის სიმაღლე. „2-3" მონაკვეთში საცხოვრებელი ფართის ნაცვლად მოწყობილია სადარბაზო.

+43.60 ნიშნულზე გაუქმებულია კიბის უჯრედის ჰოლის სათავსო. დამატებით მოწყობილია ტექნიკური შახტები, ხოლო კაპიტალურ მოაჯირებზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „1-2" მონაკვეთში სათავსოს კედლების ნაცვლად რუხი ფერის თუნუქის ქერცლისებრი წყობისა ნაწილობრივ შეღებილია.

ტერიტორიის კეთილმოწყობა შეცვლილი და დასამთავრებელია.

დამატებით მოწყობილი და საპროექტო ღობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვარს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ვადაკო"-ს, ქ. თბილისში, თემქის დასახლება I კვარტალში (საკ. კოდი №01.12.02.018.002) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/011719 53366-17 14.07.2017წ. განცხადება.
№წ-19/011719 53366-17 20.07.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე